დანართი N1
ბრძანება N ნოვ-03.01.2025/01

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

შპს ნოვა - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
საიდენტიფიკაციო კოდი: 202358126.
იურიდიული მისამართი: 0119, საქართველო, ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქ. N45.
ტელეფონის ნომერი: 032 200 33 33
ვებ-გვერდი: https://nova.ge/

შპს ნოვა ფიქსი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
საიდენტიფიკაციო კოდი: 445610358
ფაქტიური მისამართი: საქართველო, გურამიშვილის გამზ.N188
ტელეფონის ნომერი: 599 55 81 48

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით აღწერილია შპს „ნოვა"-ს და შპს „ნოვა ფიქსი"-ს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესი და დამუშავების პროცესში მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის გარანტიები. პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს შპს „ნოვა"-ს და შპს „ნოვა ფიქსი"-ს მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, დაიცვას ფიზიკური პირის უფლებები და უზრუნველყოს დამუშავების გამჭვირვალობა.

ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მოტივირებული ვართ უზრუნველვყოთ მათი დაცვა, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით.

ჩვენ ვაღიარებთ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ დასაქმებულების, მომწოდებლების, მომხმარებლების და ზოგადად, ჩვენთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვას, შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, ვმოქმედებთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად და მივმართავთ უსაფრთხოებისთვის საჭირო ყველა ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომას.

აღნიშნულ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

განსაზღვრული პოლიტიკა, ეხება პირებს რომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება კომპანიაში, ესენია:

- მომუშავე პერსონალი;
- დასაქმების მსურველი, პოტენციური დასაქმებული (სტაჟიორი, პრაკქტიკანტი, მომზადება-გადამზადების მსურველი);

- კონტრაქტორი (შპს „ნოვა“-სთან და შპს „ნოვა ფიქს“-თან სახელშეკრულებო ურთიერთობაში არსებული პირ(ებ)ი);
- მომხმარებელი (მათ შორის, პოტენციური, არსებული ან/და ყოფილი) და მომხმარებლის კანონიერი წარმომადგენელი, ან საკონტაქტო პირი;
- მომწოდებელი და მომწოდებლის კანონიერი წარმომადგენელი, ან საკონტაქტო პირი;
- ნებისმიერი პირი ან ვიზიტორი, ვინც გამოხატავს ინტერესს კონკრეტულ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზანია მოგაწოდოთ ინფორმაცია, კომპანიაში შეგროვებული პერსონალური მონაცემების შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით დაცვის, დამუშავების, შენახვისა და განადგურების წესებსა და პროცედურებზე და თქვენი უფლებების და მათი დაცვის საშუალებების შესახებ.

1. კანონმდებლობა, რომელიც საფუძვლად უდევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს

1.1. თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. თქვენი უფლებები დაცულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციის შესაბამისად.

1.2. ჩვენ ასევე ვითვალისწინებთ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაციებს თქვენი უფლებების საუკეთესო სტანდარტით დაცვისათვის.

1.3. თქვენ კანონმდებლობის საფუძველზე უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ ინფორმაცია, ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, ხოლო თქვენი მოთხოვნის საფუძველზე ჩვენ მზად ვართ პირველი შესაძლებლობისთანავე, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი

ნოვა - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
საიდენტიფიკაციო კოდი: 202358126.
იურიდიული მისამართი: 0119, საქართველო, ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქ. N45.
ტელეფონის ნომერი: 032 200 33 33
ვებ-გვერდი: https://nova.ge/

შპს ნოვა ფიქსი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
საიდენტიფიკაციო კოდი: 445610358
ფაქტიური მისამართი: საქართველო, გურამიშვილის გამზ.N188
ტელეფონის ნომერი: 599 55 81 48

3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი

3.1. კომპანიას ჰყავს მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც მონაცემებს ამუშავებენ მხოლოდ კომპანიის მიზნების განსახორციელებლად.

3.2. კომპანიასა და უფლებამოსილ პირებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ასევე მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების მოწესრიგებას და უფლებამოსილ პირებს

ავალდებულებს იმოქმედონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონთან სრული შესაბამისობით.

3.3. კომპანია ახორციელებს უფლებამოსილი პირების მიერ მათი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას ტექნოლოგიურ-ორგანიზაციული ზომებისა და მონაცემების დამუშავების მონიტორინგს.

3.4. მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტებისთვის უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

4. მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა

ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს ვხელმძღვანელობთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპებით:

4.1. **კანონიერების პრინციპი** - ჩვენ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მონაცემთა დამუშავებისთვის შესაბამისი ლეგიტიმური საფუძველი და დაცულია ყველა სამართლებრივი მოთხოვნა. მონაცემთა დამუშავების დროს განხორციელებული ქმედებები სრულ შესაბამისობაშია არსებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან. ჩვენს მიერ თქვენს მონაცემთა დამუშავებისთვის შესაბამისი საფუძველი შესაძლოა იყოს:

- თქვენი თანხმობა კონკრეტული მიზნ(ებ)ით ჩვენს მიერ მონაცემთა დამუშავებაზე;
- ჩვენს მიერ თქვენთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან/და თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით ჩვენზე დაკისრებული ვალდებულებ(ებ)ის შესასრულებლად;
- როდესაც მონაცემები საჯაროდ ხელმისწავდომია ან თქვენ გახადეთ იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი;
- თუ მონაცემთა დამუშავება საჭიროა თქვენი ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჩვენი ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად;
- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი განცხადების განსახილველად ან თქვენთვის მომსახურების გასაწევად.

4.1.1. რაც შეეხება ჩვენი მხრიდან თქვენი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას, ამ შემთხვევაში განსხვავებული საფუძვლებით ვხელმძღვანელობთ:

- თქვენი წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
- თუ აღნიშნული პირდაპირ და სპეციალურ არის რეგულირებული კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და თქვენ ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ გაქვთ, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოთ თანხმობა;
- ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;

- თქვენ აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადეთ თქვენი მონაცემები;
- მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

4.2. **სამართლიანობის პრინციპი** - ჩვენ თქვენს პერსონალურ მონაცემებს არ ვამუშავებთ თქვენს საზიანოდ, დისკრიმინაციულად, ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება თქვენთვის არ არის მოულოდნელი ან შეცდომაში შემყვანი, მონაცემთა დამუშავებისთვის/დამუშავებისას არ ვიყენებთ უსამართლო საშუალებებს. მონაცემთა დამუშავებისთვის ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი ინფორმირება, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, ასევე იმის შესახებაც თუ როგორ მოხდება მათი შეგროვება, შენახვა და გამოყენება. ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას თქვენ დაცული ხართ დისკრიმინაციისგან და ექსპლუატაციისგან.

4.3. **გამჭირვალობა** - ჩვენთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას მნიშვნელოვანია თქვენი ინფორმირებულობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. ჩვენთვის მნიშნველოვანია, რომ თქვენ იყოდეთ, რომ ხორციელდება ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება, გამოყენება, გაცნობა ან სხვა სახით დამუშავება. - **თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოგვმართოთ და მიიღოთ ინფორმაცია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.**

4.4. **მიზნის შეზღუდვის პრინციპი** – ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ კონკრეტული მიზნით რა მიზნითაც მოხდა მათი მოპოვება. თქვენი თანხმობით მოპოვებული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენებისთვის ხელახლა ვითხოვთ თქვენს თანხმობას.

4.5. **მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი** - მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ იმ მოცულობით რაც საჭიროა განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, მონაცემთა მოცულობისა და მიზნის თანაზომიერების გათვალისწინებით.

4.6. **მონაცემთა სიზუსტის პრინციპი** - ჩვენი მიზანია, რომ ჩვენთან დაცული პერსონალური მონაცემები იყოს ზუსტი და ნამდვილი. არაზუსტ მონაცემებს დაუყოვნებლივ ვასწორებთ ან ვშლით, როგორც თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ასევე ჩვენს მიერ შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში.

4.7. **ვადის მინიმიზაციის პრინციპი** - მონაცემებს მხოლოდ იმ ვადით ვინახავთ, რაც აუცილებელია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. პერსონალური მონაცემეთა შენახვის ვადას განვსაზღრავთ წინასწარ, ხოლო თუ ასეთი ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადგენთ ვადის განსაზღვრის კრიტერიუმს.

4.8. **უსაფრთხოების პრინციპი** – მონაცემებთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას ვიღებთ შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა სათანადო დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

5. მონაცემთა დამუშავების მიზნები

5.1. ჩვენს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები გამომდინარეობს შპს „ნოვა“-ს და შპს „ნოვა ფიქსი“-ს საქმიანობის სფერო(ები)დან და დაკავშირებულია, როგორც ნედლეულის მიღებასთან, ჩვენს მიერ წარმოებული, იმპორტირებული და ადგილობრივი ბაზრიდან მიღებული საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდებასთან, პროდუქციის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებასთან, უსაფრთხოების ზომების დაცვასთან, დასაქმებული პირების შრომითი საქმიანობის განხორციელებასთან და ჩვენს მიერ გარიგებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა თუ უფლებების გამოყენებასთან, კერძოდ:

- შემოთავაზებული საქონლის მიწოდება;
- ავტომატური გადახდის პროცედურების ჩატარება;
- ხელშეკრულების, გარიგების დადება;
- შრომითი ურთიერთობების წარმოება დასაქმებულ პირებთან;
- მომხმარებლებისათვის სპეციალური შეთავაზებებისა და მარკეტინგის მიზნებისათვის;
- ანალიტიკური და სტატისტიკური მიზნებისთვის, იმის გასაგებად, თუ როგორ ურთიერთობენ ჩვენი მომხმარებლები ჩვენს ვებ-გვერდთან;
- იმის შესასწავლად, თუ როგორ იყენებენ მომხმარებლები ჩვენს საქონელს;
- ჩვენი ბრენდების და საქონლის განსავითარებლად/ სამართავად;
- მომხმარებლის სურვილების/პრეფერენციების გათვალისწინებისათვის;
- უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვისთვის;
- ჩვენს მიერ დადგენილი წესების დარღვევისას რეაგირებისთვის.

6. მონაცემების მოპოვების წყაროები და მონაცემთა გამჟღავნება

6.1. **მონაცემების შეგროვება:**

6.1.1. კომპანიის მიერ თქვენი მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროებიდან და ის ყოველთვის კავშირშია კომპანიის საქმიანობასთან. ეს წყაროებია:

- პროდუქტების ან მომსახურების შეძენისას თქვენი მომართვიანობა, როგორც ფიზიკურად კომპანიის ფილიალებში (სხვადასხვა ლოკაციაზე), ასევე სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული მომართვა (ელ. ფოსტა, სოციალური ქსელები და სხვა) და სხვა;
- თქვენს მიერ ჩვენი პროდუქტებით ან მომსახურებით სარგებლობა;
- თქვენს მიერ ჩვენი ოფიციალური ვებ-გვერდ(ებ)ის და მისი ფუნქციონალების (მაგ. ჩათის) გამოყენება;
- თქვენს შესახებ ინფორმაციას ასევე ვიღებთ საჯარო წყაროებიდან და მესამე პირებისგან, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას და საჭიროების შემთხვევაში, თქვენი თანხმობის საფუძველზე (მაგ. შემოსავლების სამსახური, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრი და სხვა);
- შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების შესახებ დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე შრომითი ხელშეკრულების დასადებად პერსონალურ მონაცემებს მოვიპოვებთ მონაცემთა სუბიექტებისგან, ასევე მათ მიერ მითითებული რეკომენდატორებისაგან;
- უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით კომპანიების (შპს „ნოვა“ და შპს „ნოვა ფიქსი“) საკუთრებაში/მფლობელობაში და იჯარით სარგებლობაში არსებულ შენობებსა და მათ გარე პერიმეტრზე ხორციელდება ვიდეო-მონიტორგი. ვიდეო-მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი თვალსაჩინო ადგილებშია განათავსებული. ჩვენთან

დასაქმებული პირები წერილობით არიან გაფრთხილებულები ვიდეო-მონიტორინგის განხორციელების შესახებ და მათგან მიღებული არის თანხმობა წერილობითი ფორმით.

6.2. **მონაცემთა გამჟღავნება**:

6.2.1. კომპანიის მიერ დამუშავებული მონაცემები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოცულობით, შეიძლება გადაეცეს შემდეგ მესამე პირებს:

ა) სამართალდამცავ ორგანოებს;

ბ) სასამართლოს;

გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანოებს.

6.2.2. კომპანიის მიერ დამუშავებული მონაცემები შეიძლება გადაეცეთ კონტრაქტორ, ან მომსახურების გამწევ პირებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა კონკრეტული მომსახურების/დავალების/საკანონმდებლო მოთხოვნის შესასრულებლად;

6.2.3. კომპანიის მიერ მოხდება მონაცემთა გადაცემა თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისათვის, რომელთა ვინაობაც ცნობილია შესაბამის თანხმობის ფორმებში.

6.2.4. კომპანია აღრიცხავს რომელი მონაცემი, ვისთვის როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით იქნა გამჟღავნებული.

7. პირდაპირი მარკეტინგი

7.1. პირდაპირი მარკეტინგის მიზნით შპს „ნოვა“ და შპს „ნოვა ფიქსი“ არ ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს, აღნიშნულისთვის კომპანიები თანამშრომლობენ ბაზარზე არსებულ მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიასთან, რომელიც დამოუკიდებლად ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. ჩვენი მხრიდან ხდება მხოლოდ რეკლამისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

7.2. კომპანია ახორციელებს პირდაპირი მარკეტინგის გზით ისეთი მონაცემების დამუშავებას, როგორიცაა მონაცემთა სუბიექტების სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი.

7.3. პირდაპირი მარკეტინგის გზით მონაცემთა დამუშავება ხდება მხოლოდ სუბიექტის პირდაპირ გამოხატული წერილობითი თანხმობის საფუძველზე ან/და მის მიერ ვებ-გვერდის საშუალებით პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებაზე თანხმობის გაცხადებით.

7.4. კომპანიას შემუშავებული აქვს პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების თაობაზე თანხმობის ფორმა, რომელიც შეესაბამება კანონით დადგენილ სტანდარტებს, შეიცავს მარტივი და გასაგები ენით განმარტებულ ყველა საჭირო ინფორმაციას.

7.5. სუბიექტს ეცნობება მისი უფლების შესახებ გამოითხოვოს საკუთარი თანხმობა უსასყიდლოდ, ყველანაირი ახსნა-განმარტების საჭიროების გარეშე, იმავე გზით, რა გზითაც მას გაცხადებული ჰქონდა თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებაზე, რის შედეგადაც, შპს „ნოვა“ ან/და შპს „ნოვა ფიქსი“ შეწყვეტს მონაცემთა დამუშავებას ამ მიზნით, არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

8. მონაცემებთა კატეგორიები, დამუშავების საფუძვლები, მიზნები და ვადა

N	პერსონალური მონაცემები, რომელსაც ვამუშავებთ	მონაცემთა მოპოვების გზა	მონაცემთა დამუშავების მიზანი	მონაცემთა შენახვის ვადა
1	მომხმარებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, სატრანსპორტო საშუალებისა და მძღოლის სახელი/გვარი და პირადი ნომერი (საჭიროების შემთხვევაში)	მონაცემთა სუბიექტისგან	საქონლისა და მომსახურების მიწოდება	თუ მიწოდებულ საქონელს აქვს კომერციული გარანტია, მასში განსაზღვრული ვადით, მაგრამ არანაკლებ 3 წლის ვადით, როგორც აღნიშნული მოქმედებს საბუღალტრო დოკუმენტების შენახვის მიმართ და არაუმეტეს 5 წლის ვადით.
2	ფინანსური მონაცემი (რომელიც მოიცავს თქვენი გადახდის ბარათის რეკვიზიტებს - ბარათის ნომერი, მფლობელი, მოქმედების ვადა.)	მონაცემთა სუბიექტისგან, როდესაც ახორციელებს საქონლის ღირებულების გადახდას ონლაინ ან შპს „ნოვა“-ს საგამოფენო დარბაზში	გადახდის პროცედურების წარმოება	საქონლის მიწოდებიდან არაუმეტეს 5 წლის ვადით
3	შპს "ნოვა"-ში და შპს „ნოვა ფიქს“-ში დასაქმებული პირების შესახებ სახელი, გვარი, ფოტოსურათი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, მისამართი, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, მართვის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV), განათლების შესახებ ინფორმაცია, უცხო ენის ცოდნის შესახებ ინფორმაცია, დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ ინფორმაცია, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, შენობაში შესვლისა და გასვლის დრო, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მიამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, ჯანმრთელობის შესახებ ცნობა (შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად),	მონაცემთა სუბიექტი/დასაქმებული პირისგან, რომელიც თავად გვაწვდის აღნიშნულ მონაცემებს წინასახელშეკრულებო და შრომითი ხელშეკრულების დადების ეტაპზე. მონაცემთა სუბიექტის მიერ მითითებული რეკომენდატორისგან (ინფორმაცია - სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ).	შრომითი ხელშეკრულების დადება / შრომითი ურთიერთობის განხორციელება / შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდეგ დასაქმებულისთვის სამუშაო ადგილიდან ცნობის გაცემა.	შრომითი ურთიერთობის პერიოდი და მისი დასრულებიდან 5 (ხუთი) წელი

	დაკავებული პოზიცია (თანამდებობა), ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია, ბინადრობის მოწმობა, ნასამართლეობის ცნობა (შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად)			
4	შპს "ნოვა"-ში და შპს „ნოვა ფიქს“-ში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირების შესახებ - სახელი, გვარი, ფოტოსურათი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, მისამართი, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, მართვის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV), განათლების შესახებ ინფორმაცია, უცხო ენის ცოდნის შესახებ ინფორმაცია, დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ ინფორმაცია, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა	მონაცემთა სუბიექტი/დასაქმებული პირი თავად გვაწვდის აღნიშნულ მონაცემებს წინასახელშეკრულებო და შრომითი ხელშეკრულების დადების ეტაპზე მონაცემთა სუბიექტის მიერ მითითებული რეკომენდატორისგან (ინფორმაცია - სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ)	ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის ჩატარება / შრომითი ხელშეკრულების დადება	კონკურსის დასრულებამდე / სუბიექტის თანხმობით 3 (სამი) წელი მომავალ კონკურსებში მისი კანდიდატურის განხილვის მიზნით.
5	შპს "ნოვა"-ს საკუთრებაში, მფლობელობაში და შპს „ნოვა ფიქსი“-ს სარგებლობაში არსებულ შენობებსა და მის გარე პერიმეტრზე, მათ შორის შპს „ნოვა“-ს დესკის სალაროებთან და მთავარ სალაროებში (ცალკე გამოყოფილ ოთახებში) მყოფი პირების გამოსახულება ვიდეო-მონიტორინგის დროს	ვიდეო-მონიტორინგის ჩანაწერები	შპს "ნოვა"-ს, მომხმარებლების, დასაქმებულების უსაფრთხოებისა და საკუთრების უზრუნველყოფა და დაცვა.	ვიდეო-მონიტორინგის ჩანაწერის შენახვა ხდება არანაკლებ 30 (ოცდაათი) და არაუმეტეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადით.
6	მომხმარებლების სატელეფონო კომუნიკაციისას (კომპანიის ქოლ-ცენტრთან) ხმის ჩაწერა აუდიო-მონიტორინგის განხორციელება	აუდიო-მონიტორინგის ჩანაწერები	ხარისხის კონტროლი/ შესაძლო ინციდენტების თავიდან აცილება/ მომსახურების გაუმჯობესება.	აუდიო-მონიტორინგის ჩანაწერის შენახვა ხდება არაუმეტეს 120 (ასოცი) კალენდარული დღის ვადით.
7	ხელშეკრულების გაფორმებისთვის - პირადი ნომერი, პირადობის	მონაცემთა სუბიექტისგან, რომელიც	ხელშეკრულების დადება /	ხელშეკრულების დასადებად

	მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, მართვის მოწმობის ასლი, სატრანსპორტო საშუალების ტექ. პასპორტი, მართვის მოწმობა, ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მინდობილობა, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები, მომსახურების შესრულებისთვის საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია, საბანკო რეკვიზიტები	თავად გვაწვდის მოცემულ ინფორმაციას / მონაცემთა ნაწილი ხელმისაწვდომია საჯაროდ	ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებების გამოყენება / ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება / დავის წარმოშობის შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის მიმართვა.	მოგროვებული მონაცემები ინახება ხელშეკრულების ვადით და ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა).
8	ვებ-გვერდით სარგებლობისას, რეგისტრაციის შემთხვევაში - სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი, მეილი, მისამართი, მისი ქმედებები საიტზე, ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენების ისტორია და ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ახორციელებს ჩვენს ვებ-გვერდზე, IP მისამართი.	მომხმარებელი, რომელიც რეგისტრირდება ჩვენს ვებ-გვერდზე თვითონ ავსებს მის პერსონალურ მონაცემებს / "მზა-ჩანაწერები" (Cookies).	საქონლისა და მომსახურების მიწოდება, ვებ-გვერდის გამართული ფუნქციონირება, განვითარება და დაცვა ინციდენტისგან.	არაუმეტეს 5 წლის ვადით

9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

შპს "ნოვა" და ასევე შპს „ნოვა ფიქსი“ იცავენ საქართველოს კანონით "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" გარანტირებულ მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფლობდეთ ინფორმაციას თქვენი უფლებების შესახებ.

9.1. **ინფორმაცია, რომლის მოთხოვნის უფლებამოსილებაც თქვენ გაქვთ:**

9.1.1. ინფორმაცია, იმის შესახებ ვამუშავებთ თუ არა თქვენს პერსონალურ მონაცემებს;

9.1.2. ინფორმაცია თქვენს პერსონალურ მონაცემებზე, რომლებსაც ვამუშავებთ, მათი დამუშავების საფუძველი და მიზანი;

9.1.3. ვისგან შევაგროვეთ, მოვიპოვეთ თქვენი პერსონალური მონაცემები;

9.1.4. რა ვადით ვინახავთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას, თუ ვადის განსაზღვრა შეუძლებელია ინფორმაცია იმ კრიტერიუმის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება შენახვის ვადა;

9.1.5. ინფორმაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული თქვენი უფლებების შესახებ;

9.1.6. თქვენი მონაცემების გადაცემის სამართლებრივი საფუძვლებისა და მიზნების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

9.1.7. მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

9.1.8. ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე. (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თქვენ ზემოთ მოცემულ ინფორმაციას ჩვენგან მიიღებთ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, აღნიშნული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში ჩვენი მხრიდან სათანადო დასაბუთების საფუძველზე შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადით, რის შესახებაც შეგატყობინებთ დაუყოვნებლივ.

9.2. **მონაცემთა ასლების მიღების უფლებამოსილება:**

9.2.1. თქვენ უფლებამოსილი ხართ, უსასყიდლოდ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოითხოვოთ თქვენი იმ პერსონალური მონაცემების ასლი, რომელსაც ჩვენ ვამუშავებთ. პერსონალურ მონაცემთა ასლები, შეგიძლიათ მოითხოვოთ იმ ფორმით, რა ფორმითაც ჩვენთან ინახება და ასევე განსხვავებული ფორმითაც, თუ აღნიშნული ტექნიკურად არის შესაძლებელი. განსხვავებული ფორმით პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნისას თქვენ შესაძლებელია მოგიწიოთ საფასურის გადახდა, რომელიც იქნება ჩვენს მიერ ფაქტობრივად დახარჯული რესურსის შესაბამისი.

9.2.2. თქვენს მიერ მოთხოვნილ ასლებს ჩვენგან მიიღებთ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, აღნიშნული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში ჩვენი მხრიდან სათანადო დასაბუთების საფუძველზე შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადით, რის შესახებაც შეგატყობინებთ დაუყოვნებლივ.

9.3. **მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების შემთხვევაში თქვენი უფლებები:**

9.3.1. თქვენ ასევე უფლებამოსილი ხართ მოგვთხოვოთ, თქვენს შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება. თქვენი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ჩვენ გავასწორებთ, განვაახლებთ ან/და შევავსებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ან გაცნობებთ თქვენს მოთხოვნაზე უარს, უარის თქმის საფუძველსა და მისი გასაჩივრების წესის შესახებ.

9.3.2. თუ თქვენგან დამოუკიდებლად აღმოვაჩენთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული თქვენი პერსონალური მონაცემი არის მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული და ეს არ გამომდინარეობს ტექნიკური შეცდომიდან, ჩვენ მაქსიმალურად ხანმოკლე ვადაში გავასწორებთ, განვაახლებთ ან/და შევავსებთ მონაცემებს და მათი გასწორებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, გაცნობებთ აღნიშნულის შესახებ. ხოლო თუ თქვენთვის შეტყობინება აღნიშნულ ვადაში ობიექტურად შეუძლებელია, თქვენ იფორმაციას მიიღებთ ჩვენს შორის პირველივე კომუნიკაციის განხორციელებისას. ჩვენ ასევე მონაცემთა გასწორების, განახლების ან/და შევსების შესახებ ინფორმაციას მივაწვდით, იმ პირებს, რომლებსაც გადავეცით თქვენი პერსონალური მონაცემები, თუ აღნიშნული შეუძლებელი არაა, ასეთი პირების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო. ასეთი ინფორმაციის მიმღები პირები ვალდებულნი არიან ასევე აასწორონ, განაახლონ ან/და შეავსონ მონაცემები.

9.4. **მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება:**

9.4.1. თქვენ უფლებამოსილი ხართ მოგვთხოვოთ, მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. თქვენი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის

ვადაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არაა განსაზღვრული, შევწყვეტთ თქვენს მონაცემთა დამუშავებას ან/და წავშლით ან გავანადგურებთ მათ ან გაცნობებთ თქვენი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესახებ, უარის თქმის საფუძველსა და უარის გასაჩივრების წესის შესახებ.

9.5. **მონაცემთა დაბლოკვა და მისი მოთხოვნის შესაძლებლობა:**

9.5.1. თუ თქვენ სადავოს ხდით მონაცემთა ნამდვილობას ან სიზუსტეს, თუ მონაცემთა დამუშავება არის უკანონო, თუმცა ეწინააღმდეგებით მათ წაშლას, მონაცემები აღარ არის საჭირო მათი დამუშავების მიზნისთვის მაგრამ თქვენ ის გჭირდებათ საჩივრის/სარჩელის წარსადგენად, თუ ითხოვთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობის თქვენი მოთხოვნის განხილვა ან არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა, რაც გულისხმობს ჩვენი მხრიდან თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტას (გარდა მონაცემთა შენახვისა). ჩვენ დავბლოკავთ თქვენს მიერ მოთხოვნილ მონაცემებს თუ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით სხვა რამ არაა გათვალისწინებული. მონაცემები იბლოკება დაბლოკვის მიზეზის არსებობის ვადით. თქვენ ინფორმაციას მონაცემთა დაბლოკვის თაობაზე მიიღებთ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. მონაცემთა დაბლოკვის შემთხვევაში მონაცემები, გარდა მათი შენახვისა სხვაგვარად შესაძლოა დამუშავდეს თქვენი თანხმობით, სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასასაბუთებლად, ჩვენი ან მესამე პირის ინტერესების დასაცავად და კანონის შესაბამისად, საჯარო ინტერესის დასაცავად.

9.6. **მონაცემთა გადატანის უფლება:**

9.6.1. თუ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავების თაობაზე გაქვთ ჩვენთვის გაცხადებული თანხმობა ან თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჩვენს შორის დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად ან თუ თქვენ წერილობით გაქვთ ჩვენთვის თანხმობა მოცემული ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე, მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, თქვენ გაქვთ უფლება, ჩვენგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოთ თქვენს მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოთ ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

9.7. **ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები:**

9.7.1. თქვენ გაქვთ უფლება არ დაექვემდებაროთ მხოლოდ მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის პროფაილინგის (პროფაილინგი - მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას) საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების მიღება თქვენ აშკარად გამოხატულ თანხმობას ეფუძნება, როდესაც ეს აუცილებელია ჩვენ შორის ხელშეკრულების დასადებად ან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად ან როდესაც აღნიშნული გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

9.7.2. ჩვენ თქვენი მოთხოვნისას ვალდებული ვართ მივიღოთ სათანადო ზომები თქვენი უფლებების, თავისუფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩავრთავთ ადამიანურ რესურს, თუ საქართველოს კანონმდებლობით ეს შესაძლებელია, ასევე თქვენ მოგეცემათ შესაძლებლობა გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები და გაასაჩივროთ მიღებული გადაწყვეტილება.

9.8. **თანხმობის გამოხმობის უფლება:**

9.8.1. თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს, ყველანაირი დასაბუთებისა და განმარტების გარეშე გამოიხმოთ უკან ჩვენთვის მოცემული თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე.

9.8.2. თქვენს მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში ჩვენ ვწყვეტთ მონაცემთა დამუშავებას ან/და ვშლით ან ვანადგურებთ თქვენს მონაცემებს, თქვენი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართელოს კანონში, გარდა თქვენი თანხმობისა.

9.8.3. თქვენ შეგიძლიათ თანხმობა გამოიხმოთ იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ჩვენ მოგვეცით, ხოლო თანხმობის გამოხმობამდე შეგიძლიათ მოგვთხოვოთ ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

9.8.4. **თქვენი უფლებები შესაძლოა შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დადგენილი ფარგლებით.**

9.9. **გასაჩივრების უფლება:**

9.9.1. თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ ჩვენ დავარღვიეთ თქვენი უფლებები ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესები, თქვენ გაქვთ უფლებამოსილება კანონით დადგენილი წესით მიმართოთ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

9.9.2. თუ თქვენ მიმართავთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს განცხადებით, მათ მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, შეგიძლიათ მოსთხოვოთ მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

9.9.3. თქვენ ასევე უფლებამოსილება გაქვთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროთ სასამართლოში.

10. არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა

10.1. ჩვენ არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

10.2. 16 წლის ასაკს მიღწეული პირის შემთხვევაში მისი და მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, 16 წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაში მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ჩვენ არ ვამუშავებთ არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემებს, თუ ასეთი დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს მის საუკეთესო ინტერესებს.

11. მონაცემთა უსაფრთხოება

11.1. კომპანია მონაცემთა უსაფრთხოებას, მათ დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან უზრუნველყოფს სათანადო ზომების მიღებით.

11.2. ვუზრუნველყოფთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები დაცულ იქნეს არაავტორიზებული ან არაკანონიერი წვდომისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, დაზიანებისგან, გამჟღავნებისგან ან განადგურებისგან.

11.3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნის და შენახვის ვადების ამოწურვის შემდეგ ჩვენ რეგულარულად ვშლით და ვანადგურებთ პერსონალურ მონაცემებს ან ვინახავთ დეპერსონალიზებული სახით.

11.4. კომპანია იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

11.5. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით ვახორციელებთ ვიდეო-მონიტორინგს.

11.6. კომპანია პერსონალურ მონაცემებს ინახავს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იყენებს ფიზიკურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ საშუალებებს. ელ. მოწყობილობების, ფაილების, ინფრასტრუქტურის და ა.შ. უსაფრთხოების გარდა ვიყენებთ ფიზიკური და პროცედურული კონტროლის მექანიზმებს, რათა დავიცვათ მონაცემები არაავტორიზებული პირებისთვის წვდომისგან, გამოყენებისგან, სხვა პირებისთვის გადაცემისა და განადგურებისგან.

11.7. ჩვენი თანამშრომლები იცავენ მონაცემთა უსაფრთხოების და კონფიდენციალურობის პრინციპებს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესაბამისად.

11.8. არაავტომატური საშუალებით მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში ასეთი მონაცემები დაცულია კონკრეტულად გამოყოფილ სათავსო სივრცეში. ამ სივრცეზე წვდომა აქვთ მხოლოდ ავტორიზებულ თანამშრომლებს, მხოლოდ იმ ფარგლებში რაც საჭიროა სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისთვის.

11.9. ავტომატური საშუალებით დამუშავებული მონაცემები შესაბამისი პროგრამის გამოყენებით მუშავდება დაშიფვრის (ენკრიფციის) გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული მონაცემების კონფიდენციალობის დაცვას. განსაზღვრულია ავტორიზებულ პირთა წრე, რომელთაც აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში.

11.10. კომპანია უზრუნველყოფს განსხვავებული კატეგორიის მონაცემების დეცენტრალიზებას ერთმანეთისგან და აღრიცხავს სისტემურად ფაილურ სისტემებში განხორციელებულ ქმედებებს პერსონალურ მონაცემებზე.

11.11. კომპანიაში დასაქმებული პირები ინფორმირებულები არიან კონფიდენციალობის პოლიტიკაზე, რომელიც გაწერილია შინაგანაწესში და ითვალისწინებს სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის შედეგებს.

12. ვიდეო-მონიტორინგი

12.1. ორგანიზაციის სათაო ოფისსა და მის ფილიალებში და ობიექტებზე (საწარმოები, საწყობები, ოფისები და ა.შ.) მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში. ვიდეო კამერები განთავსებულია შენობების შიდა (დერეფანი/საწყობები/საგამოფენო დარბაზები და სხვა) და გარე პერიმეტრზე (შემოსასვლელი, გარე პერიმეტრის კამერები).

12.2. მონაცემთა დამუშავების მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების მიზნით შენობაში თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები ვიდეომონიტორინგის წარმოების თაობაზე.

12.3. ვიდეო-მონიტორინგი მიმდინარეობს დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა (დასაქმებულის, კლიენტის ან მესამე პირის) და საკუთრების, ფინანსური თაღლითობის პრევენციის/გამოვლენის, ხარისხის კონტროლის, ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

12.4. ვიდეო-მონიტორინგით მოპოვებული მონაცემთა დაცვის მიზნით ჩანაწერებზე დაწესებულია ავტორიზებული წვდომა. უზრუნველყოფილია ვიდეო-ჩანაწერებსა და მონაცემთა ფაილური სისტემების წვდომის აღრიცხვის სისტემა.

12.5. ვიდეო-მონიტორინგით მოპოვებული მონაცემების განადგურება ხდება 30-45 კალენდარული დღის გასვლის შემდგომ, ობიექტის შესაბამისად. განადგურება ხდება ავტომატურ რეჟიმში.

12.6. ვიდეო-ჩანაწერებზე წვდომა აქვს დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენელ შესაბამის პირებს - თანამშრომლებს.

12.7. ვიდეო-მონიტორინგით მოპოვებული მონაცემები დაცულია არაავტორიზებული წვდომისა და ხელყოფისაგან შესაბამისი ავტორიზების სისტემებით.

12.8. ვიდეო-მონიტორინგი არ ხორციელდება გამოსაცვლელ ოთახებში, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და ვიდეო-მონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება.

12.9. თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან სამუშაო სივრცეებში ვიდეო-მონიტორინგის განხორციელების თაობაზე და ხელს აწერენ წერილობითი თანხმობის ფორმას ვიდეომონიტორინგის დებულების განხორციელების გაცნობის შესახებ.

12.10. ვიდეო-მონიტორინგით მოპოვებული მონაცემები ინახება განცალკევებულ სივრცეში, შესაბამის მოწყობილობებში, რომელიც დაცულია არაავტორიზებული წვდომისგან და ოთახში შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ უფლებამოსილი თანამშრომლებისთვის.

13. აუდიო-მონიტორინგი

13.1. ორგანიზაციის სატელეფონო ცხელ ხაზზე შემომავალ და გამავალ ზარებზე ხორციელდება აუდიო-მონიტორინგი.

13.2. სატელეფონო ცხელ ხაზზე შემომავალ და გამავალ ზარებზე მონაცემთა სუბიექტებს ზარის განხორციელებისთანავე ეცნობებათ შესაბამისი შეტყობინებით, აუდიო-მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

13.3. სატელეფონო ცხელ ხაზზე შემომავალ და გამავალ ზარებზე აუდიო-მონიტორინგის წარმოება მიმდინარეობს ხარისხის კონტროლის, შესაძლო ინციდენტების თავიდან აცილების, მომსახურების გაუმჯობესების, მონაცემთა სუბიექტებისა და კომპანიის ლეგიტიმური ინტერესების მიზნებითა და საფუძვლებით.

13.4. ცხელ ხაზზე შემომავალ და გამავალ ზარებზე აუდიო-მონიტორინგის საშუალებით მოპოვებული მონაცემების დაცვის მიზნით ჩანაწერებზე დაწესებულია ავტორიზებული წვდომა. უზრუნველყოფილია აუდიო-ჩანაწერებსა და მონაცემთა ფაილური სისტემების წვდომის აღრიცხვის სისტემა.

13.5. ცხელ ხაზზე შემომავალ და გამავალ ზარებზე აუდიო-მონიტორინგით მოპოვებული მონაცემები ინახება 120 დღის ვადით და ნადგურდება ავტომატურ რეჟიმში ვადის ამოწურვისთანავე.

14. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

14.1. შპს „ნოვა“-ს და შპს „ნოვა ფიქს“-ს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან. საკუთარ საქმიანობაში დამოუკიდებელია და ექვემდებარება კომპანიის დირექტორს.

14.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

ა) აკონტროლებს კომპანიაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასების პროცესში;

გ) საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან;

დ) უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებასა და გადამზადებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
ე) განიხილავს მონაცემთა სუბიექტის განცხადებებს, საჩივრებს და/ან მომართვებს;
ვ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე კონსულტაციას უწევს მონაცემთა სუბიექტებს;
ზ) აწარმოებს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს წარუდგენს ფაილური სისტემების კატალოგებს;
თ) გამოავლენს, შეისწავლის და სათანადო რეაგირებას ახდენს პერსონალურ მონაცემთა დარღვევის ფაქტებზე.

14.3. კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის სახელწოდება - (იურიდიული პირი - შპს ''პინა მენეჯმენტი'' ს/ნ: 400315066) არის დატანილი კომპანიის ვებ-გვერდზე და საჯაროდ არის ცნობილი.

აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას.

დამატებითი და საკონტაქტო ინფორმაცია

თუ გსურთ მიიღოთ ინფორმაცია თქვენს იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ ვამუშავებთ, ან განახორციელოთ სხვა ქმედება, გთხოვთ მოგვმართეთ ელ. მისამართზე Info@nova.ge , ან მიმართეთ ჩვენს ფილიალებს (შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, თელავი, მარნეული, გორი, ხაშური, ქუთაისი) და მიმართვიდან 10 დღის ვადაში თქვენი მოთხოვნა განიხილება და პასუხი გეცნობებათ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიმართოთ კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელ.ფოსტაზე: PDP@nova.ge

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის საკონტაქტო ნომერი: + 995 577 148 280.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ კომპანიის ცხელ ხაზს ნომერზე 032 200 33 33.

დოკუმენტი შედგენილია შპს „ნოვა“-ს და შპს „ნოვა ფიქსი“-ს მიერ 2025 წლის 3 იანვარს და ექვემდებარება პერიოდულ განახლებას ცვლილების თარიღის მითითებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის, კონტრაქტორისა და მომხმარებლისთვის (მოთხოვნის შემთხვევაში).

დოკუმენტის გაცნობა თანამშრომლებისთვის დაშვებულია, როგორც ფიზიკურად (ფურცლების სახით), ასევე ელექტრონულად და დასაშვებია დოკუმენტის გაცნობაზე ნებისმიერი ტიპის ხელმოწერა, როგორც ფიზიკური, ელექტრონული (მაგ.:კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, ელ.ფოსტა, Signify) პლატფორმის საშუალებით ელექტრონული ხელმოწერა და ა.შ.), ასევე სმს-ის სახით.

ქ. თბილისი, 03.01.2025 წელი

გავეცანი შსპ „ნოვა“-ს გენერალური დირექტორის და შპს „ნოვა ფიქსი“-ს დირექტორის 2025 წლის 3 იანვრის ერთობლივ ბრძანებას N ნოვ-03.01.2025/01 და ამავე ბრძანების დანართს N1 - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“, ინფორმირებული ვარ კომპანიაში მიმდინარე ვიდეო-მონიტორინგის და ქოლ-ცენტრში აუდიო-მონიტორინგის განხორციელების შესახებ, ვეთანხმები და ვაწერ ხელს:

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა	დოკუმენტის გაცნობის თარიღი